განკარგულება:**გ-49. 49240802**
თარიღი:**20/03/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.07.35.068) სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 მარტის N48-482407839 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.07.35.068) სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“ სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე უძრავი ქონება (საკ.კოდი N29.07.35.068).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი